საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მინდია იაკობაძე

რაინდის იდეალი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თეა თავბერიძე - ასოც.პროფ

აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

ვაჟა-ფშაველა თანამედროვე მწერალია. ჩვეულებრივ, გენიალობის დამადასტურებელი მწერლის შემოქმედებაში, გახლავთ ის თუ რამდენად უსწრებს იგი თავის ეპოქას, ანუ რამდენად თანამედროვეა ყველა ეპოქაში. ვაჟას შეხედულებები ჰუმანიზმზე, პატრიოტიზმზე, რაინდობაზე და ა.შ. დღესაც აქტუალურიაა და ამჯერად ჩვენი დაინტერესება კაი ყმის პრობლემატიკით განაპირობა მსოფლიოში განვითარებულმა პროცესებმა. დღეს როცა ყველა მხრიდან ხდება ზეწოლა და ბრძოლა ტრადიციული, ფასეული ღირებულებების წინააღმდეგ, როცა გაბედეს და ეჭვქვეშ დააყენეს ფუძის, ოჯახის სიწმინდე, როცა გონებადაბნელებულ მასათა მიერ ვაჟკაცობის იდეალის არატრადიციული ორიენტაციის არსებებით ჩანაცვლება ხდება, სწორედ ამ დროს გადავწყვიტეთ გულისყური მივმართოთ ჩვენი სანაქებო მწერლის ვაჟ-შაველას შემოქმედებისკენ სადაც წამყვანი მოტივი სწორედ ვაჟკაცობის, რაინდობის აპოლოგიაა.

ქართულ სინამდვილეში რაინდის შესატყვისად ტერმინი ,,ყმა“ გამოიყენებოდა, ვაჟამ როგორც ჭეშმარიტმა პატრიოტმა, სწორედ მშობელი ხალხის წიაღში მოძებნა ეს სიტყვა, მწერლის შემოქმედების რაინდული სულის შესახებ ჯერ კიდევ ვაჟას სიცოცხლეშივე იქნა

ხაზგასმული. მწერალი შალვა ამირეჯიბი მას ,,ეროვნულ მქადაგებელს“ უწოდებდა.

ვაჟა-ფშაველა კაი ყმის სახელით გვიხატავს ქრისტიანულ გმირს რომელმაც თავისუფალი არჩევანი განახორციელა და ეს არჩევანი მარადიული სიცოცხლისთვის ღვაწლია, ეს არჩევანი ბოროტებასთან ბრძოლაა, ესაა არჩევანი შიშსა და გამბედაობას შორის რომელიც ყველა შემთხვევაში გამბედაობის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს, როცა საქმე ეხება სამშობლოს, მოყვასის და ღირსების დაცვას.

ვაჟა იმეორებს იმას რასაც ქრისტიანული ზნეობა ქადაგებს ,,შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი“. რაც ვფიქრობთ რომ ყველა ჩვენგანისთვის სასიცოცხლო ზნეობაა, ამიტომ გადავწყვიტეთ აღნიშნული თემის დამუშავებით მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ამ ზნეობის განსამტკიცებლად.

annotation

Vazha- Pshavela is a contemporary writer. Usually, in the writer's work certifying genius is that, how far ahead it is his epoch, that is how modern is every epoch. Vazha's views on humanism, patriotism, knight and so on… is important even today. Our interest in this time of good knight problem is due to the world's development processes. Today, when all sides are pressured and fighting against valuable, traditional values, when they dared and questioned the sanctity of the family, when the blind man is being replaced by the non-traditional orientation of the ideal of bravery. That's the time we decided pay our attention to the great writer Vazha Pshavela's creativity, in which the main motive is the apology of the bravery and knight.

The term “kma” was used to refer for the knight in Georgian reality. As a genuine patriot poet, find the word in the parent population. About the Knight of the Writers' Creation were emphasized in his life. Writer Shalva Amirejibi called him a “national preacher”.

Vazha Pshavela will show us the name of a Christian hero in the name of the Knight, who made free choice and that, is merit for eternal life. This choice is a struggle against evil, this is the choice between fear and courage, in which wins courage, when it comes to protecting of homeland and dignity.

Vazha repeats what Christian morality preaches you “love your neighbor as you yourself are”. We think that it is vital for everyone, so we decided to discuss this topic to make a small contribution to strengthen this morality.

სარჩევი

ანოტაცია.....2

შესავალი.....

7

თავი პირველი

კაი ყმის ფოლკლორისეული და ვაჟა-ფსაველასეული

გაგება.....14

თავი მეორე

არწივის სიმბოლიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.....28

თავი მესამე

რაინდთა დახასიათების ხერხები ვაჟას შემოქმედებაში.....36

თავი მეოთხე

კაი ყმისა და რაინდის იდეალი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.....42

ძირითადი დასკვნა.....51

გამოყენებული ლიტერრატურა.....53

შესავალი

ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიული ესკიზები

სოფელ ჩარგალში, ვაჟას ოთახის კედელზე მიკრულ პორტრეტებს შორის არის ერთი პორტრეტი, რომელიც განსაკუთრებით ახასიათებს პოეტის პიროვნებას. ჭაღარა შერთული, თითქმის დაღლილი და დღიური ჭირ-ვარამით გაფერმკრთალებული ვაჟა ზის სოფლურ სამფეხა სკამზე. მას თავი ხელმანდილით აქვს შეკრული, საკინძე ჩახსნილი პერანგიდან გულ-მკერდის ნაწილი მოუჩანს, მას შრომისაგან მისი დაკოჟრილი ხელის თითები შემოხვეულია მუზარადს და გამომწვევი ხილვით გასცქერის სივრცეს. რაც უფრო დიდხანს ვაკვირდებით პორტრეტს, მით უფრო მიმზიდველი ხდება იგი; თითქოს სურათზე ვაჟა კი არა, სიკვდილ-სიცოცხლის შერკინება იყოს გამოხატული! სიკვდილი სიბერის სახითაა

წარმოდგენილი, სიცოცხლე კი მუზარადით. სიბერე დამშვიდებისა და უმიქმედობის სიმბოლოდ მოჩანს, მუზარადი ვნბიანიბისა და ბრძოლის. პირველი სამარისებული მყუდროობისაკენ გვიხმობს, მეორე მოქმედებისაკენ. ვაჟას უზლური ხელის თითები მაგრად ჩასჭიდებია მუზარადს და ნაოჭად შეკრულ შუბლში თითქოს აღუბეწდავს საკუთარ გმირთა ნათელი სახეები - სიკვდილს ღიმილით რომ ეგებებოდნენ.

ვაჟა-ფშაველა დაიბადა სოფელ ჩარგალში 1861 წლის 14ივლისს (თავად ვაჟა დაბადების თარიღად1862 წლის 15 მაისს უთითებდა). შვილთა შორის მესამე ყოფილა.

ვაჟას დედა გულქანი იყო სიფელი სხლოვნიდან, ფხინკლიანთ გვარის.მას არ სცოდნია წერა-კითხვა, მაგრამ ბუნებით ფრიად ნიჭიერი ყოფილა და ძალიან მშვიდი. რაც შეეხება ვაჟას მამას, პავლე რაზიკაშვილს, იგი ძალიან ფათერაკიანი ახალგაზრდა ყოფილა.

პავლეს გუთნის კარგი მართვა სცოდნია. ერთსღა სჯავრობდა, შვილები „უსწავლელები არ დამრჩეს და მერე ქვეყანამ არ დამგმოსო“(ვახტანგ რაზიკაშვილი, მამაჩემი _ ვაჟა-ფშაველა, თბ., 1961, გვ. 110) .

პავლეს 6 შვილი ჰყავდა: გიორგი, მარა, ნიკო, თედო, სანდრო და ლუკა(ვაჟა).

პავლე რაზიკაშვილმა თავისი ცოლის სიკვდილის შემდეგ, ერთი თვეც ვეღარ იცოცხლა და 1890 წლის 22 ოქტომბერს გარდაიცვალა, 59 წლისა. პავლეს გამორჩევით ჰყვარებია „დაბადებიდანვე უცნაურად თვალებამდე თმაჩამოშვებული პატარა ლუკა... შავი თმა თვალებზე ჰქონია ჩამოფარებული.“

რვა წლამდე ვაჟა ჩარგალში იზრდებოდა. მას ისეთივე ბავშვობა ქონდა, როგორიც სოფლელ ბავშვებს. მწყემსავდა ხბო-ბატკნებს,

კრეფდა მარწყვსა და ჟოლოს, ჭყუმპალაობდა და კალმახს იჭერდა ჩარგლულაში.

რვა წლისა თელავის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ. მდიდარ სულიერ საზრდოს ნაჩვევ ბავშვს ძალზე გასჭირვებია. გულისტკივილით იგონებს: „სასწავლებელში ყოფნამ ჩემს გულსა და გონებას ვერაფერი შეჰმატა. ჩემი თელავში ყოფნის ექვსი წლის ნაყოფად ჩაითვლება რამდენიმე რუსულ-ბერძნული ფრაზა, ქართულს ვინ გვაღირსებდა“(შდრ. აკაკის „ჩემი თავგადასავალი“).ასევე იგონებს: „მე ბუხარში ვიჯექი და იქიდან ვუცქერდი იმ საშინელებას.... ბუხარი იყო ჩემი სკამი მთელი ორი წელი, რადგან ადგილი აღარ იყო შეგირდებისთვის, ერთთავად ნაცარში ამოგანგლული დავდიოდიო“

ვაჟას თურმე კარგად სცოდნია კრივის ხელოვნებაც, რომელიც პეტერბურგში გამოსდგომია. ლუდხანაში ოცი-ოცდახუთი კაცი უცემიათ მასა და მის ძმას,გიორგის, მათშორის, ერთ-ერთი ევროპაში გამარჯვებას ნაჩვევი მოკრივე)

თელავშივე სწვევია ვაჟას პირველი სიყვარული, რომელიც არავისთვის გაუმხელია, თვით იმ გოგონასთვისაც კი, ვისაც ეტრფოდა. გ. ხორნაული აღნიშნავს, რომ ვაჟას „მთიელური სიამაყე და თავშეკავებულობა ზღუდავდა. მთაში ხომ ვაჟკაცს ისე არაფერი უტეხს სახელს, როგორც სიყვარულზე ლაპარაკი და მექალთანეობა“.

თელავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1877 წელს ვაჟას სწავლა გაუგრძელებია თბილისის ალექსანდრეს სახელობის საოსტატო (სამასწავლებლო) ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში. რუსულის არცოდნის გამო ვაJას ორკლასიანი საოსტატო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა ვეღარ განუგრძია საოსტატო ინსტიტუტში.

1879 წ. ვაჟამ გორის საოსტატო სემინარიაში განაგრძო სწავლა. 1982 წელს კი დაასრულა სწავლა და იმავე წელს ვაჟა მასწავლებლად წარუგზავნიათ ერწო-თიანეთის სოფელ ტოლათსოფელში.

,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ვაჟას თხოვნით, სკოლისათვის ,,დედაენის“ თხუტმეტი და ,,ბუნების კარის“ ხუთი ეგზემპლარი გაუგზავნია. ვაჯას ამავე წელს გაზეთ ,,დროებაში“ გამოუქვეყნებია კრიტიკული წერილი ,,ჭრელი ფიქრები“ სადაც ამხილა თავადი ხიმშიაშვილი, რომელსაც საეკლესიო ადგილები თაღლითურად მიესაკუთრებინა და ამის გამო 1883 წელს ჯანმრთელობის მოშლის საბაბით გაუთავისუფლებიათ სკოლიდან.

1883 წლის შემოდგომაზე ვაჟა პეტერბურგში ჩასულა. მას მოუწადინებია იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება, მაგრამ უნივერსიტეტში მხოლოდ გიმნაზია დამთავრებულებს იღებდნენ. იძულებული გახდა, თავისუფალ სმენელად შესულიყო. გულისყურით ისმენდა ლექციებს, ბევრსაც კითხულობდა, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო იძულებული გახდა დაბრუნებულიყო საქართველოში.

დაბრუნების შემდეგ ვაჟას კვლავ მასწავლებლობაზე უფიქრია; გორში ჩასულა, გორის ახლობელ სოფელ ოთარაშენში ცნობილი თავადის, ოთარ ამილახვარის ოჟახში მიიწვიეს მასწავლებლად. ერთხელ სილაც გაუწნავს თავნება აღსაზრდელისთვის, მაგრამ შემდეგ მოსწავლეს, გიორგი ამილახვარს, ძალიან შეჰყვარებია ვაჟა, სანადირო დაც კი ერთად დადიოდნენ.

ერთი წელი დარჩენილა ოთარაშენში, კნეინა ამილახვარისათვის სათნო მოახლის, ქვრივი კეკე ნებიერაძის ხელი უთხოვია, ყვავილივით ნაზი ქალი შეურთავს და ჩარგალს აუყვანია.

1890 წ. ვაჟას ციმბირის წყლული შეჰყრია. ბიძას ავადმყოფი ხარი დაუკლავს, ვაჟაც შეეშველა თურმე, ხოლი დაღლილს სახეზე მოუსვამს....

დედა შინაური წამლებით მკურნალობდა, ქუთუთოს ვერაფერი უწამლა. თბილიში გაუკეთებიათ ოპერაცია, მკლავიდან აჭრილი ხორცი თვალზე მიუკერებიათ, ქუთუთოჩამოფხავებული მუდამ თვალცრემლიანი დარჩენილა. ,,რაზიკაანთ ცალთვალა დევს“ ეძახდნენ თურმე ,,თვალ ჩამოხეულ“ ვაჯას. ,,ოდნავ გახელილი ცალი თვალი რაღაც იდუმალ შთაბეჭდილებას ტოვებდაო“, იგონებს სანდრო შანშიაშვილი (ვ. რაზიკაშვილი, ,,მამაჩემი- ვაჟა-შსაველა, თბილისი. 1973:177).

ავადმყოფი შესჭიდებია დაუნდობელ ყოფას. ,,ხნავდა, თესავდა, მკიდა, ლეწავდა, თივას ეზიდებოდა. ამას ემატებოდა საქონელი და სხვა ათასი ოჯახური წვრილმანი... როდისღა იცლიდა წერისთვის?!“ (გ. ხორნაული, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი1985: 116).

პოეტობა ნავთის, მარილის ფულს ძლივს აძლევდა, ამიტომ გუთნისდედაობდა, ცოლი-მეხრეობდა. მხოლოთ ღამით, ,,ჯალაბთა დაძინების შემდეგ, ძლივს მიუჯდებოდა მაგიდას მთელი დღის ნაჯაფი, ანაც უქმეებსა და წვიმიან ამინდებში... ხშირად ნავთი, ლამოის ასანთებიც კი აღარ ქონდა. ბუხრის პირს მიმჯდარი ცეცხლის შუქზე წერდა“ (გ. ხორნაული, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი 1985:118).

ილიას მკვლელობამ შეძრა ვაჯა, ,,ვერ მოჰკლეს!“-ასე უწოდა ერის მამისადმი მიძღვნილ წერილს. საქართველოს გულის ნადები გამოიხატა ვაჯას სიტყვებით: ,,ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავდნენ“.

ილიას მკვლელთა თანამოძმეებმა ოდნავ მოგვიანებით, 1924 წელს, ძმა და შვილი დაუხვრიტეს ვაჯას. ორჯონიკიძეს უთქვამს,

ცოცხალი რომ იყოს, თავად ვაჟასაც დავხრეტდიო (კ.კენკიაშვილი ,,კარიბჭე“ 2006:35).

მძიმედ დაავადებული ვაჟა 1915 წლის აპრილში ჩამოსულა თბილიში. ვაჟას პატივის მცემელთა ჯგუფმა 23 მაისს სახაზინო თეატრის დარბაზში გამართა საღამო. ორთაჭალის ნადიმზე უნაბდოდ მჯდარი ვაჯა უარესად გაცივებულა. მაღალი სიცხით დასუსტებული ლაზარეთში გადაიყვანეს. მას სველი პლევრიტი აღმოაჩნდა. 14 ივნისს კი წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში დაუწვენიათ. მარცხენა ფერდში ისევ წყალი ჩასდგომია, სეწუხებულ ვაჟას დრო უკითხავს, როცა უთქვამთ სამიაო, გაჰკვირვებია, ამ დრომდი როგორ ვიცოცხლე, ეს ჩემი უკანასკნელი საათიაო. უთხოვია, პირი მამადავითისკენ მიყავით, რომ მთას ვუყუროო.

საღამოს ექვსი საათისათვის დაუკარგავს გონება. შვიდ საათზე გაჰყრია სული ხორცს, 1915 წლის 27 ივლისს. 28 ივლის ვაჯა ქაშვეთში გადაასვენეს.

1911 წელს, ვაჟას სიცოცხლეშივე, აღინიშნა: ,,თანამედროვე ქართველ პოეტებს შორის ვაჟა-ფშაველა ყველაზე იდუმალი და, ამავე დროს, ყველაზე თვითმყოფადი მოვლენაა. იგი ყოველგვარი ლიტერატურული სკოლებისა და მიმართულებების გარეშე დგას... ძნელად დასაჯერებელია, რომ იგი მითოლოგიური წარსულის მქონე მკვდრეთით აღმდგარი შვილი ჩვენი თანამედროვეა“. იმავე წერილში, იქვე, ნათქვამი იყო: ,,ამ იდუმალი პოეტის შემოქმედებითი ცნობიერება შეიძლება განისაზღვროს როგორც მითოლოგიური“ ნახევარი საუკონე უნდა გაევლო, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე ეს თვალსაზრისი აღორძინებილიყო: ,, ვაჟა დგას ქართულ მთიელთა უძველეს შეხედულებათა და წარმოდგენათა ნიადაგზე. იგი ამოდის წარმოდგენათა ნიადაგზე. იგი ამოდის ქართული მითოლოგიის უღრმესი ფენებიდან“ არცერთი ქართველი პოეტი არ დასწაფებია

ქართულ ხალხურ კერძოდ კი, ფშაურ მითოსს ესე ძლიერ როგორც ვაჟა-ფშაველა. (გაწერელია, 1966:151).

მითოლოგიურ ასპექტში აქვს პოეტს ნაჩვენები თავისი ეპოქის გმირთა ვნებანი და ფიქრები, და ბოლოს, მითოლოგიური ხასიათისაა თვითონ ჩარჩოც ვაჟავ ზოგიერთი პოემის ტრაგიკული კოლიზიისა“ (კ.გამსახურდია, 1963:319).

ვაჟა-ფშაველას პოეზიის პირველი საფუძველი მითოსია. მითოსური მსოფმხედველობისა და კერძოდ, ქართული, ფშავხევსურული მითოსის ძირითადი ელემენტების მოაზრების გარეშე საფუძველს მოკლებული იქნება ვაჟაფშაველას პოეზიის კვლევის საქმე. თავისთავად გულისხმობს მისე პოეზიის პრობლემური საკითხები მითოსურ ელემენტებისა და სტრუქტურების გარკვეულ ცოდნასა დაგათვალისწინებას. ვაჟა-ფშაველას პოეზიის სწორედ ამ ფენის, პირველ საფუძვლისათვის გვერდის ავლის გამო იშვა უამრავი ცრურწმენა და ცრუ შეხედულება მისი პოეტური ენისა და მსოფლმხედველობის, მისი პოემების ტრგიკული გმირებისა და მათი მოქმედების შესახებ. საერთოდ ,, ვაჟას შესახებ ბევრი რამ ითქვა უმეცრული და შეურაცმყოფელი“(მ.კვესელავა, 1961:112).

ვაჟა-ფშაველა, როგორც მწერალი და მოაზროვნე, ის ფენომენია რომელსაც ძალუძს ყველაზე გამძლე და ღრმა აზრი ყველაზე დიდი გულუბრყვილობით გამოხატოს წყაროს რაკრაკში, დაგვაჯეროს, რა საშინელებაა უზარმაზარი ლოდების დუმილი მაშინ, როცა პოეტს სურს ისინი აამეტყველოს, რათა ადამიანებს, რომლებსაც ერთმანეთის აღარ სწამთ, ადამიანური ენით აუწყოს ჭეშმარიტი და არაერთხელ თქმული სიტყვები. ვაჟას ჰუმანიზმი მრვალგზის ღნიშნულა და ეს მიუთითებს იმაზე, რომ მისთვის ადამიანია სამყარის ცენტრში. ადამიანი, რომლის ყოფის, ზნეობრივი განვითარების წინაპირობას

პიროვნებები ქმნიან. ვაჟას გმირი გმირია ამ სიტყვის ლიტერატურული და რეალური მნიშვნელობით. გმირი სოციალურად ფასეული ის პიროვნებაა, რომელსაც ,,მთელი თავისი საზოგადოების განფენილობის მიუხედავად, ვერავინ და ვერაფერი შეცვლის, რომლის დანაკლისი აუნაზღაურებელია, არათუ კონკრეტული საზოგადოების, მთელი საზოგადოების ნიერაც კი.

თავი პირველი

კაი ყმის ფოლკლორისეული და ვაჟა-ფშაველასეული გაგება

ვაჟა-ფშაველას პოეტური მოღვაწეობის ეპოქა, დიდი სოციალური ძვრების ხანაა, არა მარტო საქართველოს ცხოვრებაში, არამედ რუსეთსა და შეიძლება ითქვას, მთელს მსოფლიოში.

ასეთ ეპოქაში, ჩვეულებრივ, ისმება საკითხი ცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქმნისა, ახალი გზების ძიების; ჩნდება მოთხოვნილება ახალი ადამიანისა, რომელსაც შეუძლია თავისი გამჭრიახობით განსჭვრიტოს ცხოვრების განვითარების ჯერ კიდევ დაფარული გეზი, გამოარკვიოს, გაიგოს მისი არსი, საჭირო საფუძვლები და მასებიც ამ მიმართულებით წაიყვანოს.

ასეთ პერიოდში ისმება გმირის პრობლემა_ახალი ადამიანის ან როგორც თვით პოეტი იტყოდა ,,კაი ყმისა", რომელიც ამ მიმართებით საზოგადოებრივ ცხოვრების ორგანიზებას ხელს შეუწყობს. ვაჟა-ფშაველაც, რა თქმა უნდა, ეპოქის ამ ძირითად საკითხს და მოთხოვნილებას ეხმაურება. მის წინაშეც, მთელი ცხოვრებისა და შემოქმედების მანძილზე, აქტუალურად დგას საკითხი გმირის, ვაჟკაცის__ ,, კაი ყმის".

ვაჟა-ფშაველა მთის შვილია, რომელიც ჯერ კიდევ ცხოვრობდა დევ-გმირთა ზღაპრულ ამბებით. მამაცობა, საქმე საგმირო-სარაკო-- აი საზომი ადამიანის ვაჟკაცობის შეფასებისა მთაში, რაც იქ საუკუნეებით იყო შემონახული მდიდარ ზეპირსიტყვიერებაში და თავისებურად ყოფა- ცხოვრებაში.

თვითონ ვაჟა-ფშაველა ასე ხსნის ვაჟკაცის კულტს,შემონახულს მთაში: ,,რადგან ძველის-ძველი კაცობრიობის ცხოვრება მუშტზე და ძალაზე იყო დაფუძნებული, ერთი თემი მეორესა ლაშქრავდა ხშირად უსაფუძვლოდ, მხოლოდ მოწადინებისა და სურვილისამებრ; დამჩაგვრელი დაჩაგრულს არბევდა, ამონავებდა. ყველა თემისათვის იმ დროს , რასაკვირველია, პირველი ღირსება ვაჟკაცობა იყო. ვისაც გული და ჯანი უჭრიდა, იგი იყო მაში კაცი; ვაჟკაცი ხდებოდა საგნად მღერისა, ლექსისა, ამბისა, ზეპირ-გადმოცემისა“.

დაახლოებით ისეთსავე აზრს გამოთქვამს ხალხური გმირების შესახებ ილია ჭავჭავაძეც: ,, ერი თავის გმირებში პოუობს თავის სულსა და გულსა, თავსი მწვრთნელსა, თავის ღონეს და შეძლებას, თავის ხატსა და მაგალითს“.(მიხეილ ზანდუკელი, 1953: 92).

ვაჟა-შაველაც, აღზრდილი ხალხურ ზეპირგადმოცემის ტრდიციებზე, ასევე უყურებდა და აფასებდა ვაჟკაცსა და მის საქმიანობას. ამით აიხსნება, რომ პოეტი ბარში ვერ თავსდებოდა, ბორგავდა, მისი პოეტური ხედვა ვერ იღებდა სათანადო საზრდოს ბარის დაკნინებულ, დაჩიავებულ ცხოვრებაში, როგორც მგოსანს ეს ეჩვენებოდა და იტყოდა, მთელი თავისი დიდი დაუკმაყოფილებელი ბუნებით მთისკენ გაშმაგებით მიიწევდა. სწორედ მთაში, მის ცხოვრებასა და პოეზიაში ეძებდა ვაჟა-ფშაველა სათანადო მასალას, საზრდოს; სწორედ აქ ჰქუხდა მისი ჩანგის პოეტური აღმაფრენა ,,ცად ასაწევად“. და ეს განწყობილება, შემოქმედების ეს გზა ვაჟა-ფშაველაში შეუცნობლად ან შემთხვევით კი არ ვითარებოდა, არამედ სრულიად შეგნებულად, კანონზომიერად, ალბათ დიდი აწინ-გაზომვის შედეგად, როგორც ეს მისთვის იყო დამახასიათებელი. ეს გარემოება აძლევდა მგოსნის შემოქმედების მხატვრულ კონკრეტულებას.

მთის ვაჟკაცურ ცხოვრებას, მთის ხალხურ ზეპირ გადმოცემებს ხარბად დაეწაფა ვაჟა-ფშაველა. აქ იპოვა მან ღირსეული მასალა ვაჯკაცის ნამდვილი სახის შესაქმნელად. მასალისა და გმირის სახის,

ხალხური შემოქმედებისა და ჩვეულებითა ათვისების გზით გაცნობისა და გააზრების შემდეგ, სანამდე პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორია თვით თავიში გადაამუშავებდა ამ სახეს. ვაჟა-ფშაველა წერდა: გმირი ვაჟკაცი ფშაურ ლექსებში ,,კაი ყმად“ იხსენიება; იგი ეკუთვნის თემს და ემსახურება მას, იმის გულისათვის იბრძვის, მისი მაღალი ზნეობა და ხასიათი თემის წრის გარეთ არ მიდის. ფშაური გმირი თავის თემის წრეში მოქმედებს, გარეგნობით არ არის თვალ-გულმისასვლელი, არა ჰგავს მზესა და მთვარესა სახიერებით, არამედ არის ,,თვილის ფერა“, ,,შავგრემანი“; ,,ქალის-პირა“ ვაჟკაცი გმირად არ გამოდგება, ფშავლის აზრით, იგი მხდალია...**

ვაჟა-ფშაველამ დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით ამოკრიფა ხალხური შემოქმედების სალაროდან ნიმუშები და დიდი ოსტატის მარჯვენით თავის შემოქმედებაში ,,კაი ყმის“ მეტად თავისებური, მიმზიდველი სახე გამოჭედა.

ვაჟკაცი, ვაჟა-ფშაველას შეხედულებითაც, მტკიცე ხასიათის, უშიშარი, გულად რომ რკინა უძევს, მაღალი გრძნობისა და გამჭრიახი გონების კაცია. ის თავის ძალას, უნარს, ნიჭს ქვეყნის დაცვასა და მტერთან ბრძოლაში იყენებს. ვაჟკაცს მტერთან ომში ყოფნ ისე მიაჩნია როგორც ლხინში, ტყვიის ხმა__დედის ნანად. ომს წინ ვაჯკაცისათვის ჩვეულებრივი, გმირული, შეუდრეკელობის გამომხატველი სიმღერაა:

,,გული გავლესოთ გრძნობითა,
საცაა დაჰკრავს ნაღარა;
ერთი დავსძახოთ ქართულად,
ხვალ არ გვეცლება აღარა;
დაე იტირონ დედათა
შვილთა ლაშქარში წასვლაზე:

ან ვისახელოთ, ან გავწყდეთ

ომში პირველად ჩასვლაზე“*.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ომის წინ ჯარის სიმღერა“,2012:261)

მთიელი, მგოსნის დახატვით, ვაჟკაცობის ასეთ ტრადიციაშია აღზრდილი. ის ბავშვობიდანვე თავის გარშემო გამუდმებით ხედავს გმირობის, ვაჟკაცობის მაგალითს, ჭირსა და ომში საარაკო გამძლეობას. მთიელს ასაზრდოებს, ზრდის წინაპართა ანდერძი მამიდან შვილზე, როგორც წმიდათა წმიდა, გადმინაცემი:

,,ვაჟკაცს არ შვენის ცრემლის ღვრა,

ქვითინი დიაცურადა.

მტერს ხმალი უნდა საფრთხულად,

კვალზე მიყოლა მგლურადა:

. . . . . .

ნუ დაისვენებ, ებრძოლე

მტერს, მანამ გიდგა სულიო.

შვილო, მეც ეგრე ვიყავი,

ეგ არის ჩვენი სჯულიო“**.

(ვაჟა-ფშაველა, ,,პაპიჩემის ანდერძი“, 2012:236)

ამიტომ მთიელი იმას თვლის ნამდვილ ვაჟკაცად, მისი რწმენით, იმას: ,,ჰშვენის თავზე გვირგვინი“, იმაზეა ალალი ,,ნანა და ძუძუ დედისა“, ვინც ქვეყნის დასაღუპავად მრავლად მოძღვავაებულ ჭირსა და განსაცდელს მკერდს მიაპყრობს, ვინც ,,აზრისა და სიმართლისთვის“ ვაჟკაცურად კვდება.

ვაჟა-ფშაველას გაგებოთაც, ვაჟკაცი, ქვეყნის მტერთან უბედურებასთან ბრძოლაში თუ სახელს არ მოიპოვებს, შინ დაბრუნებას სამარცხვინოდ უნდა თვლიდეს. სამაგიეროდ, ,, მშობელი ქვეყნის დარაჯი", გმირულად ვალმოხდით, ვაჟკაცი, მტერთან ბრძოლკაში მოკლული, ხალხში მოწიწებული პატივისა და თაყვანისცემის საგნადაა გადაქცეული. მთიელი ხალხი ასეთ ვაჟკაცს დასტირის. ცდილობს გააპატიოსნოს ის, როგორც ამას ქვეყნის ადათი მოითხოვს.

ვაჟკაცის სახეს, ახალი დროის შესაფერი მოქმედი კაცის __ გმირის სახეს ვაჟა-ფშაველას პოეტური კალამი ხანგრძლივი დროის განმავლობაში და დიდი შინაგანი ტკივილებითაც ეძებდა. ეს გარემოება დაკავშირებული იყო მწერლის მსოფლმხედველობის თანდათანობით გარკვევასთან, მწერლის თანადროულობის მიერ წამოყენებულ რთულ სოციალურ და პოლოტიკურ მოვლენებისადმი დამოკიდებულების გარკვევასთან.

ვაჯა-ფშაველა კარგად ხედავდა და მტკივნეულადაც განიცდიდა, როგორ იზრდებოდა და მწვავდებოდა მასების წინაღმდეგობა, როგორც სოციალურ, ისე პოლოტიკურ ჩაგვრით. ამიტომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გმირული სახეები გამოხატავენ რევოლუციურ იდეას, რომელიც ხალხს, განსაკუთრებით გლეხობის წიაღში მწიფდებოდა ბიუროკრატიულ თვითმპყრობრლობისა და კაპიტალისტურ წყობილების გასანადგურებლად. ამაში იხატებოდა ვაჟა-ფშაველას წინათგრძნობა რევოლუციური ქარიშხალის მოახლოებისა და მწერლის შინაგანი მოთხოვნილება მისკენ გზის გაჭრას ხელი შეუწყოს, მკითხველის განწყობილება გაამახვილოს, გაარკვიოს.

,,კაი ყმის" ვაჟკაცის სახე დომინანტია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა. ,,კაი ყმა" რაღაც დაუძლეველი სიდიადის განცდით, სიამაყით, კამყოფილებით და სიხარულით ავსებს არამარტო მთიელს, თემს, რომლის ბუდეშიც ეს ,, კაი ყმა" აღიზარდა და მოქმედებს, არამედ

ვაჟა-შაველასაც, რომელიც თავის ამგვარ განწყობილებასა და დამოკიდებულებას მკითხველსაც არაჩვეულებრივი სიძლიერით გადასდებს.

,,კაი ყმა“ ვაჟ-ფშაველას ჩვენებით, მარტო გმირი კი არ არის, რომელიც გამომხატველია დიდი ფიზიკური ძალისა და ბრძოლაში მტერთან იჩენს განხაცვიფრებელ უშიშრობას, გულადობას, სითამამეს, სიმტკიცეს, წიდახედულობას, არამედ ის ამ თვისებებთან ერტად დიდი, მაღალი მორალური საზოგადოიებრივი ძალისა და გრძნობის მატარებელიცაა. ,,კაი ყმის“ სახე ვაჟა-ფშაველას გამუდმებით იზიდავდა არა მარტო ცხოვრებაში, არამედ პოეტურ შემოქმედებაშიც. ვაჟკაცის, გმირის ძიება, ამ ძიების ტკივილები და ვაჟკაცთა ორიგინალური გალერეა მგოსანს მოცემული აქვს როგორც ლირიკულ ლექსებში, ისე ეპიკურ ნაწარმოებებში (,,გიგილია“, ,,სისხლის ძიება“, ,,დარეჯანი“, ,,ალუდა ქეთელაური“, ,, სტუმარ-მასპინძელი“, ,,გველის მჭამელი“, ,, კაი ყმა“ და მრავალი სხვ.). (მიხეილ ზანდუკელი, 1953: 97).

ვაჟა-ფშაველასთვის, როგორც გარკვეულ ეპოქაში მოქმედი მწერლისთვის, საგულისხმიერო ისაა, რომ მისი სიმღერის საგნად ხდება არა მარტო ,, კაი ყმის'' _გმირის ფიზიკური ძალა, ვაჟკაცობა, გაუტეხელობა, სიმტკიცე, თავდადება სამშობლოსათვის მტერთან შეუპოვარ ბრძოლაში, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ძველად თემურ პირობებში, არამედ ,,კაი ყმა'' ,მგოსნის გაგებით, აგრეთვე უნდა ახასიათებდეს სხვა დადებითი და დროისათვის შესაფერი თვისებები:მედგარი ამხედრება და ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ; ჩაგრულთა გამოღვიძება, მათი დარაზმვა მჩაგვრელთა კლასის წინააღმდეგ.

გმირის ასეთი სახე ვაჟა-ფშაველას გამახვილებულად აქვს ნაჩვენები პოემაში ,,სისხლის ძიება''. რომელიც პოეტს დაწერილი აქვს 1897 წელს.

90-იან წლებიდან ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში რევოლუციური ამაღლება თანდათან მტკიცდებოდა. ცხოვრება მოქალაქე__მწერლისაგან მოითხოვდა არ დაკმაყოფილებულიყო ძველის, დრომოჭმულ მოვლენების უარყოფით, მას აგრეთვე უნდა ეჩვენებინა ახლის, ცხოვრებაში რიმ ისახებოდა, განმტკიცება. გმირის__,, კაი ყმა“ ძიება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც სწორედ ცხოვრების ამ ქმნილებით აისახება. ვაჯა-ფშაველაც ცხოვრების ასეთ ძლევამოსილ მოთხოვნილებას მისდევს.

ხანგრძლევი და მტკივნეული ძიების შემდეგ ვაჟა-ფშაველამ თავისი დროისათვის საჭირო და შესაფერი ახალი ადამიანის, გმირის. ვაჟკაცის სრულყოფილი სახე, ჩამოაყალიბა ლექსში ,,კაი ყმა“.

ეს ლექსი თუ სიმღერა ისეთი სიმკვეთრით, ისეთი ვირტუოზულობითაა დაწერილი, როგორც შინაარსისა, ისე ფორმის მხრით, ყოველი სიტყვა აქ ისეთს მტლიანს, რთულსა და ძლიერ სახეს სჭედავს, მთლიანად ლექსი ისეთი დიდი ემოციურობით, რიტმულობითაა შესრულებილი, არ შეიძლება მკითხველი არ მოიხიბლოს. შთაბეჭდილებისთვის საჭირო იქნებოდა მთლიანად ლექსის მოყვანა, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი უშუალო შთაბეჭდილებებისთვის, რის გადმოცემაც სისრულით ძალიან ძნელია. მაგრამ მოცულობა მისი გვაბრკოლებს, ამიტომ აქ იძულებული ვართ ნაწყვეტებით განვსაზღვროთ.

,,ვინა? ვინ არი კაი ყმა?“ __კითხულობს ვაჟკაცის სახის აღფრთოვანებული ძიებით აღსავსე პოეტი და თვითონვე უპასუხებს. ვაჟა-ფშაველას გაგებით ,,კაიო ყმა“ მრავალწახნაგოვანი, მდიდარი და რთული პიროვნებაა.

პოეტის გაგებით კაიყმისათვის პირველ რიგში საქებარია ვაჟკაცობა __ მტერთან გმირული ბრძოლის სათანადო უნარი; ,, კაი ყმა“ პირველ რიგში ვაჟკაცია, ,,ვის ტანზე ხმალე ჰშვენოდეს“. ,,კაი ყმა“

თავისი გამოცდას, გმირულ ნათლობას ბრძოლის ასპარეზზე იღებს, იქ, სადაც_

,,ხალხი ხალხზედა ჰღელავდეს:
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ მტერსა,
ხმლები, ხანჯლები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დაგეს ჯღრდეები,
თვალები თვალებს სწველავდეს.
მოციქულობდენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს;
ჭიათფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი
სუდარაებსა ჰკერავდეს“.*

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“, თბილისი 19 61: 282).

ვაჟკაცის გამბედაობა, თავგანწირვა, მამაცობა და აგრეთვე მის მიერ წარმოებული ბრძოლის პათოსი ამ ლექში არაჩვეულებრივი სიღრმითაა გადმოცემული.

ვაჟა-ფშაველას გაგებითა და რწმენით, ისაა ვაჟკაცი, ისაა მოსაწონი ,,კაი ყმა“,

,,ვინც მიეგებოს მტერს წინა,

წინ წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,

სახე-სისხლ-გადამდინარე

ტკივილს არ გამოიტყოდეს,

თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,

ზედ ქორებულად ფრინავდეს

სიცხეში სიოდ დაჰბეროს,

დაათბოს, როცა ყინავდეს''

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა", თბილისი 19 61: 282).

მაგრამ ეს არაა საკმარისი ვაჟკაცის ბუნებისათვის.

ვაჟა-შაველა აღზრდილი ერთი მხრით, ხალხურ შემოქმედებაში განსახიერებულ გმირთა ხასიათის თვისებებზე, ხოლო, მეორე მხრით, 60_90-იანი წლების მოღვაწეთა და მწერალთა მსოფლმხედველობაზე, რომლის მიხედვითაც კაცი ფასდებოდა მისი საზოგადოებრივი ღირებულების ხვედრით წონით ,,კაი ყმას", ახალ ადამიანის მრავალმხრივ სინჯავდა და აფასებდა. მწერლის რწმენით, მარტო ვაჟკაცობა__ფიზიკური ძალის გამოვლენა ვერ ამოწურავს ვაჟკაცის ღირებულებას, მისი მიმზიდველობის ძალას. ვაჟა-ფშაველა არ კმაყოფილდება ,,კაი ყმის"მაგარი კლავით, ძლიერი ღონით, გაბედულობით, უშიშრობით, პოეტის აგებით ვაჟკაცს აღნიშნულ თვისებებთან ერთად უნდა ახასიათებდეს გამჭრიახი გონება და ფაქიზი გრძნობაც; ამ მიმართულებით ის, ,,კაი ყმა"მუდამ მზად უნდა იყოს მსხვერპლის შესაწირად.

ამიტომ, მგოსნის გაგებოთ, ,,კაი ყმა", _,,პირველად ომის დამწყები" უნდა ,,ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს";

,,სხვანი იყოფდენ ნადავლსა,

ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“, თბილისი 19 61: 282).

მაგრამ არც ეს არის საკმარისი ახალი ადამიანის არსის სრულყოფისათვის. ვაჟა-ფშაველას შეხედულობით, ,,კაი ყმა“ ამასთანავე უნდა იყოს უანგარო, თავმდაბალი, გონიერი, მზრუნველი მოძმეთათვის.(მიხეილ ზანდუკელი, 1953:109).

,,მიძღვნილსა საუფროსოსა

ამხანაგებსვე სწირავდეს.

დარაჯად ედგას ლაშქარსა,

როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს

სწორ ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,

ცდუნება არა სძირავდეს.

მტრის ჟავრის ედგას ლოგინი,

მტრის ჟავრი საბნად ფარავდეს.

იქ იდგეს ხმალ-ამიწყვეტილი,

საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს,

გაბეჩავებულს სიმართლეს

უსამართლობა სძალავდეს“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“, თბილისი 19 61: 282).

,,კაი ყმის“ სრულ გასხივოსნებულ სახეს, ვაჟა-ფშაველას დახატვით, კიდევ ერთი თვისება, ერთი სხივი უნდა ავსებდეს და ამშვენებდეს. ,,კაი ყმა“, სხვა აღნიშნულ თვისებებთან ერთად, თავდაჭერილი და მორიდებულია.

,,სხივსა იუბნოს სახელი,

თავის გარჯასა ჰმალავდეს...

სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი,

კვდებოდეს, არა გმინავდეს;

თავისი სამარხად, სუდრადა,

მარტო სახელს სწირავდეს“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“, თბილისი 19 61: 282).

ასეთი თვისებებით უნდ აიყოს დაჯილდოვებული ვაჟკაცი, რომელსაც შეიძლება ,,კაი ყმა“ ეწოდოს, რომლის სიცოცხლე ხალხის თვალში გამართლებულია, რომელიც შეძლებს ხალხის გაჭირვებულ ცხოვრებას კეთილი, შინაარსიანი გზა და კვალი მისცეს. ასეთ კაცს, მგოსნის გაგებით, უნდა ,,ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა, მკვდრისა ვსვათ შესანდობარი“.

ამ ,,კაი ყმის“ ღირებულება რომ უფრო შთააგონოს მკითხველს მგოსანი ,,კაი ყმის“ სახელს ამ ქვეყნიურ ცხოვრებით დაამთავრებს.

მისი დადებით, კაი ყმა ,,სულეთშიც“ შედის ,,ხმლიანი, ლაღი, ლაღისა ცხენითა“. მას იქაც ქებას ასხამენ გმირები, ,,გადასულები ჩვენითა“. ხალხის თვალში ,,კაი ყმას“ იქაც პატივისცემისა, განდიდებისა და სიყვარულის უდიდესი ჯილდო მოელის:

,,ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,

დაისვას თავის გვერდითა,

გამაეგებოს თამარი,

მცინარი, თავისი ფეხითა...

ანგელოზები ხარობდნენ

ალ-ქაჯი იყვნენ წყენითა.

აი, ვინაა კაი ყმა,

მოსაგონარი ქებითა!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“, თბილისი 19 61: 282).

ამით ვაჟა-ფშაველას უნდა თქვას რომ ასეთი საზოგადოებრივი გრძნობის მათარებელი, თავდადებული ვაჟკაცის სახელი უკვდავია; ვინადან მოძმეთა გზის გასაადვილებლად მისგან ,,გზა უვალი თეთრი რჩება“.

ვაჟა-ფშაველამ მკითხველის შეგნებაში რომ უფრო გაამხვილოს, გაზარდოს მის მიერ დახატული ,,კაი ყმის“ საზოგადოებრივი ღირებულება, მისი დიდი მნიშვნელობა, რომ ,,კაი ყმის“ სახე მოგვცეს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალი, მას პოეტი უპირისპირებს თანამედროვე დარღვეულ, ლაჩარ__,, დაქალაჩუნებულ“ ადამიანებს, რომელნიც მხოლოდ კუჭზე, მხოლოდ პირად უზრუნველყოფაზე ფიქრობენ, რომელთაც საზოგადო საქმე, მოძმის კეთილდღეობა სრულებით არ აგონდებათ. მათ პოეტი ,,კაი ყმის“ პირით ასეთი წყრომით მიმართავს:

,,თავის ჯამს ჩასცქერით, საქვეყნოდ

არც როს არ გამასდგებითა..

გაიგებთ კარგის გარჟასა,

გწყინსთ და შურითა ხდებითა;

უქმად საფლავში სწვებითა.

არ იცით დასჩნდით რისადა,

ან რისთვისაკვდებითა!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“, თბილისი 19 61: 283).

რა დიდი ტკივილით, აღშფოთებითა და სიმკვეთრითაა გამოხატული თანამედროვე ცხოვრების დაკნინებით გამოწვეული ვაჟა-ფშაველას მწუხარება, რაოდენ სიმართლითაა გაკიცხულიიმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრება, მწერლის მახვილი დახასიათებით დაჩიავებულ, დაკნინებულ თანამედროვეთა არც დაბადებას, არც სიკვდილს არა აქვს არც აზრი, არც გამართლება, ცხოვრება მათი გზა კვალი არეულია, უიალქნო, ვაჟა-ფშაველას ეს ლექსი, შეიძლება ითქვას, სისხლსა და რკინასია გამოწრთობილი.(მიხეილ ზანდუკელი, 1953: 111).

.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება იმისი მჭევმეტყველური მღაღადებელია, რომ მისი სიტყვა და საქმე მიმართულია საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღებისაკენ. ვაჟა-ფშაველა არა მარტო მწერლის, როგორც ეს ზევითაც დავინახეთ, არამედ ყოველი ადამიანის, და მით უმეტეს ,,კარგი ყმის“, დანიშნულებას სწორედ ქვეყნისადმი უანგარო შრომაში ხედავს. დიდად მიმზიდველი პოეტურობითაა მოცემული საზოგადოებრივი ვალის მოხდის, გაღვიძებული სინდისის გამახვილებული ხედვა: ,, თვალები მთელის ქვეყნისა შემომცქერიან თხოვნითა, ეგებ როგორმე დავიხსნა სოფლის ამაგი გლოვითა“. სწორედ ეს განცდაა ვაჟა-ფშაველას რომ ასე აფიქრებს, აწუხებს, თანაც იტაცებს. პოეტის გულითადი წადილი და მისწრაფება მხოლოდ ერთია:

,,გამზარდოს მომცეს, ძალ-ღონე,

ვეწამლო ქვეყნის კვნესასა:

გამზარდოს ღრუბლად მაქციოს,

მძიმედ დამთვირთოს წვიმითა,

რომ მოვრწყო გული ქვეყნისა

დაუშრომელის მილითა;

ავაჭიკჭიკო ბულბული

საღამოთი და დილითა“*

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“, თბილისი 19 61: 99).

ვაჟა-ფშაველას გაგებით და ჩვენებითაც, მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობს ადამიანი თავისთავს ვალმოხდილად ამ ქვეყნის წინაშე და დამშვიდებული დატოვებს სააქაოს.

საგულისხმოა ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი დაუმთავრებელი წერილი. ,,საახალწლო ფიქრები“, სადაც ის სწორედ ამ საკითხებს ეხება: ,,ჩვენ კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისისა: უსათუოდ ხვალინდელი დრისგან მოველით რასმე კარგს. ეს გვასულდგმულებს, გვამხნევებს, ძალას გვიმატებს ყოველ-დღიურ ვარამს გვინელებს გულში და სიცოცხლესაც გვაყვარებს. კაცი, რომელიც ხვალინდელ დღისაგან არაფერს მოელის, გადაუწყვეტია იმედი, ცოცხალ-მკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არაა... საბრალოა ქვეყანა, საწყალია ის ერი, რომელსაც დაუკარგავს იმედი ხვალინდელი დღისა, საუკეთესო მერმისისა“** __ წერს ვაჟა-ფშაველა. ამ მიმართულებითაც ვაჟა-ფშაველა თავისი ქვეყნისა და ეპოქის შვილია, მისი პოეტური ნიჭი ეპოქის ძირითადი მტკივნეული საკითხების ძლიერი და მკვეთრი საყვირია, ხოლო მისი პოეტური შემოქმედება კი ეპოქის დამახასიათებელი განწყობილებისა და მოტივების შემცველი.

თავი მეორე

არწივის სიმბოლიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

„არწივი“მეტად მცირე ლექსია, სულ ათ სტრიქონს შეიცავს და, ერთი შეხედვით, თითქოს მეტად მარტივად არის დაწერილი, მაგრამ შინაგანად იმდენად დიდ ძალას შეიცავს, რომ შეუძლია მზესავით მოკაშკაშე ლექსსაც გაუსწოროს თვალები... არ მგონია, რომ უმძაფრეს გრიგალს უფრო მეტი ძალით შეეძლოს ამოგმინვა, ვიდრე ამ ლექსის სტრიქონებს:

,,ვახ, დედას თქვენსა, ყოვებო,

ცუდ დროს ჩაგეგდავთ ხელადა“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,არწივი“, თბილისი 19 61: 60).

ცნების ,,დიადი უბრალოების“ გამოხატულების ნიმუშად სწორედ ეს ლექსი უნდა მივიჩნიოთ.

პირველად ამ ლექსს შეეხო კიტა აბაშიძე, რომელსაც თავის ,,ეტიუდებში“ მოთავსებულ წერილში ნათქვამი აქვს: ,,აბა წაიკითხეთ მისი ,,არწივი“, ეს შედევრი მისის პოეზიისა და ნახეთ, რას სიმაღლემდის მიაღწია მისმა პოეზიამ. აქაც რაც სიტყვაა, ის სურათია. პოეზიის ტექნიკა აქ უმაღლეს საფეხურამდე არის მიყვანილი. ერთი ანბანი მეტი არ არის, მთელი დიდი სურათი, დიდი გრძნობა რამდენსამე სიტყაშია გამოთქმული და ინტესიური ძლიერება ემატება. თქმა არ უნდა, არწივი მისი საყვარელი სამშობლოა, თუმცა პირდაპირ არ გვეუბნება ამას,

თუმცა დაჭრილი არწივი შეიძლება დიდის ნიჭს, დიდის გმირის გამომსახველიც იყოს, რომელიც დასუსტების დროს უბადრუკთა და ლაჩართა გასაწეწად გამხდარა“. (ვ.გაბასკირი, თბილისი 1961:38).

ვაჟას არწივზე სხვა, მეტად საინტერესო ლექსებიც აქვს დაწერილი და უმთავრესად მათ შესახებ გვსურს საუბარი, ვინაიდან გვგგონია, რომ ამ ლექსებს ჩვენი მკითხველები ისე კარგად არ იცნობენ, როგორც იცნობენ ზემოთხსენებულ ლექსს.

ამასთანავე შევნიშნავთ: მსოფლიო ლიტერატურაში მეორე მწერალი არ გვეგულება, რომელსაც ისე უყვარდეს არწივი, როგორც ვაჟას. ვაჟას იმიტომ ხიბლავდა არწივი, რომ ის მიაჩნდა რაინდობის, ვაჟკაცური შეუპოვრობის, ქედუხრელობის სიმბოლოდ, ვაჟა ეთაყვანებოდა ამ ფრინველს უდრტვინელ სულს. გამოეცლებოდა თუ არა ეს თვისებები, არწივი ყოველგვარ რომანტიკულობას ჰკარგავდა ვაჟას თვალში, და არათუ საყვარელ, არამედ საძულველ ფრინველადაც კი ეჩვენებოდა. როდის ხდებოდა ეს?__ მაშინ, როდესაც არწივს წარმოიდგენდა, როგორც მტაცებელს, როგორც სუსტ არსების დამჩაგვრელ ფრინველს. აი, ამგვარად წარმოუდგენელი არწივსადმი ვაჟას დამოკიდებულების ნიმუშები, რომლებიც მის ერთ-ერთ ძვირფას მოთხრობა ,,ქუჩში“ გვხვდება: ,,მე განა სისიხლითა და ბურტყლით უნდა ვიყო შემურული?! __ამბობს კლდეზე ამოსული ბალახის ქუჩი. __ ეს სულ იმ ბებერი არწივის ბრალია, ჩემს გვერდით რომ ბუდობს. გაიღვიძებს თუ არა დილით, მოჰყვება საზარელს ყეფას,

ვიღაცას ემუქრება, აბრიალებს დიდრონს, სისხლის მოყვარულებს თვალებს და მერე გასწევს სადავლოდ; ყველა ფრინველი გზას უთმობს, მოიტანს ნანდირევს, სისხლი ჩამოდის და მე დამდის. საიდან მოვერიდები? სისიხლით წითლად ვილესები, მერე მზე დამხედავს და ახმობს ჩემს ტანზე სისხლსა __ვინ მასწავლა მე სიტყვა სიკვდილი? აი, ამ ლოდმა, ჩემს გვერდზე რომ ცხვირი წამოუშვერია და მრისხანედ დასჩერებია ქვეყანას. ამან და ერასის წლის ბებერმა

არწივმა. არა, სიკვდილი კარგი არ უნდა იყოს. გუშინ რომ მაგ დასვენარმა ბებრმა ერთი როჭო შეყლაპა ჩემს თავზე, რამდენსა კვნესოდა და ის-კი შეუბრალებლად სწიწკნიდა, გლეჯდა ალმასის ნისკარტით“. (ვიქტორ გაბასკირია, ,,ნაკადული“ 19 თბილისი 61: 39).

ვაჟასთვის, როგორც დიდი ჰუმანისტი მწერლისთვის საძულველია არწივი, როდესაც ასეთ ვითარებაში მხედავს, მაგრამ მის იდეალად ხდება მაშინ, როდესაც არწივი რაიმე სახის უსამართლობის წინააღმდეგ უშიშარ და თავგამოდებულ მებრძოლად მოევლინება.

თუ რა თვისებათაგამო ეტრფის ვაჟა რწივს, __ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, და სანამ ლექსს ,, არწივს“ კვლავ შევეხებოდეთ, განვიხილოთ ის ნაწარმოებებიც, რომლებშიაც ფრინველთა მეფე ისევ საყვარელია, როგორც ,,არწივში“.

ვაჯას აქვს ერთი მეტად საინტერესო ლექსი ,,არწივის დარდი“. ამ ლექსშიც არწივი სხვადასხვა ხასიათის გმირი ადამინაების, მათ შორის სამშობლოს დამცველი რაინდების, ალეგორიული გამოხატულებაა.

ეს ლექსი, რაკი საკმაოდ ვრცელ ამბავს გვიყვება, რაკი, მსგავსად ბალადისა, პოემისა, იმგვარ სიუჟეტს შეიცავს, რომელსაც თავისი ექსპოზიცია და ამავე ექსპოზიციიდან გამომდინარე მძაფრი ფინალი აქვს, __საკმაოდ დიდი მოცულობის ლექსია. ამის გამოც მთლიანად ვერ ამოვწერეთ, მის სიუჟეტს კი სრულად გვაცნობთ იმ მკითხველებს, რომელთათვის ეს ლექსი ან უცნობია, ან უკვე დავიწყებიათ. ,,არწივის დარდი“ ამგვარ სიუჟეტზეა დაყრდნობილი: არწივმა შენიშნა, რომ მის სამფლობელოში წეროების გუნდი შემოფრენილა, ეწყინა,__ ჩემს დაუკითხავად როგორ ბედავთ ჩემს ქვეყანაში ნავარდს:

საით სად მოთრეულები

ზეიმითა და ზარითა

სთელავდნენ მის სამფლობელოს,

მთებს, მიყოლებით ბარითა,

და არც კი ჰკითხეს პატრონსა

სიტყვითა შესაწყნარითა.

(ვაჟა-ფშაველა, ,,არწივის დარდი“, თბილისი 19 61: 307).

არწივის გულისწყრომას საზღვარი არა აქვს, ვინაიდან წეროების ქცევა შეუცხყოფელ თავხედობად მიაჩნიაა, შურის საძიებლად აენთება, შფოთვას იწყებს და ასეთი რამ აღმოხდება:

,,უყურე ჯილაგ გასაწყვეტთ!“

შფოთავს ბურვილი ალითა

,,მე აღარაფერს მკითხავენ,

არიან თავის ძალითა .

მე ვითომ აღარ ვყოფილვარ,

და ჩემის მიწა-წყალითა

ჰსურთ იქეიფინ და მე კი

მაცქერინებენ თვალითა?!

მოკვდი არწივო, მაშინა,

გათავდი თავის ბრჯღალითა!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,არწივი“, თბილისი 19 61: 60).

ამდენად დიდ მოვლენად მიაჩნია ვაჟას ერის სუვერენიტეტის აბუჩად ამგდებთა წინააღმდეგ მიმართული გულისწყრომა, რომ ამგვრი გულისწყრომის გამოსახატავად მეტად საინტერესო მხატვრულ სახესაც ჰქმნის ხსენებულ ლექსში. ეს მხატვრული სახე ამ ლექსისა იმაში გამოიხატება, რომ ზემოთ ნათქვამ სიტყვენს არწივისა ცაში

ატყორცნილებად თვლის, ციდან კი ეს სიტყვენი, უკვე სეტვად ქცეულნი, არწივს თავზე აცვივა, რაც კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს სამშობლოს დამცველი გმირის ალეგორიულად გამომხატველ არწივის შფოთვას. არწივი გამოუდგება წეროებს, ცაში მათ მეხად დაატყდება, რისი შედეგიც, ამავე ლექსის სტრიქონებით რომ ვთქვათ უკვე დედამიწაზე ჩანდა როგორც ავღნიშნეთ, არწივი ვაჟასთვის საყვარელია მხოლოდ იმიტომ, რომ მას კეთილისათვის მებრძოლი რაინდის ალეგორიულ გამოხატულებად მიიჩნევს. ამგვარი არწივის საამო ყაშყაში ვაჟას მრავალ ნაწარმოებში გვ ესმის მაგრამ ყველას ნუ მივმართავთ, ამის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე მათგანი გავიხსენოთ.(ვ.გაბასკირი, თბილისი 1961:41).

ვაჟას დიდებულ ლექსში ,,ამაო ომი“ ყვავ-ყორნები და თვით არწივი მოქმედებენ, მაგრამ სულ სხვაგვარ სიტუციაში. თუ პირველ ლექსში ყვავ-ყორნებმა დასჩაგრავად დაჭრილი და ღონე მიხდილი არწივი დაიხელთეს, მეორე ლექსში ყვავ-ყორნენბი არწივის ბუდეს ეპატრონებიან, ვინაიდან არწივი მკვდარი ჰგონიათ; ეს ლექსი პირდაპირ გვეუბნება, რომ ყვავებს სცვისი სახლ-კარის დასაპატრონებლათ ამაო ბრძოლა გაუმართავთ, ვინაიდან მისი ნამდვილი პატრონი ცოცხალია და ბრუნდებაო. მაგრამ ამაზე საინტერესო ის არის, რასაც ლექსის ქვეტექსტი გვეუბნება; ქვეტექსტის მიხედვით ვგრძნობთ, რომ ახლა სხვისი ბუდის დასანარჩუნებლად გულადად მებრძოლ ყვავებს მალე გულები გაუსკდებათ, ვინაიდან სულმდაბალნი რაინდის თვალების ელვარებას დაინახავენ; ქვეტექსტი გვაგრძნობინებს, რომ სულმდაბალთ არცა აქვთ უფლება კეთილშობილი, რაინდული სულის არსებათა მამულის, კარმიდამოს უფლებების ხელყოფისა.

,,ყვავსა და ყორანს გახდოდათ

არწივი საბუდარზედა:

ერთმანეთს თავ-პირს აჭამდნენ

ნადავლარ-ნაქურდალზედა.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ამაო ომი“, თბილისი 19 61:285).

ამ ლექსებში, პირველ როგში კი ,,არწივში“ რა თქმა უნდა წარსულში გარეშე მტრებთან მებრძოლი საქართველო უნდა ვიგულისხმოთ. ამგვარი ინტერპრეტაცია სწორედ მიგვაჩნია, მაგრამ ,,არწივი“ ისეთი სიდიადის ლექსია, რომ ცოდვაა მხოლოდ ერთი რომელიმე სათქმელის გამომხატველად დავსახოთ; ,,არწივს“ იმისათვის ვთვლით პოეზიის შედევრათ, რომ გამოხატავს მრავალს ზოგადადამიანურ წუხილს ერთად. ,,არწივი“, როგორც ყველა მაღალმხატვრული ლექსი__ მრავალი ამბის შემკრებია, მაგალითად, ერთ მასში შეუძლია იგულისხმოს ბრძოლის ველზე დაცემული სამშობლოს დამცველი მებრძოლი, მეორეს__რაიმე სახის უსამართლობასთან ბრძოლაში დამარცხებული და ბოროტ ადამიანთა ხელში სატანჯველად ჩავარდნილი ადამიანი, მესამეს__კლასობრივ მტრებთან მებრძილო გმირი და ასე დაუსრულებლად.(ვიქტორ გაბასკირი, ,,ნაკადული“ 19 თბილისი 61: 43).

ვაჟა დაჭრილი ,,არწივის“ მოტრფიალეა, რომელიც სიკვდილის ჟამსაც კი ყორნებს თვალებს უბრიალებდაა და ეომება. ვაჟა იმ ,,არწივს“ სცემს თაყვანს რომელიც ,,თუ სამსხვერპლომ გაასწრო , თავს უშველა კლანჭი ვერ მოჰკრა მარგილზე ჩამოიგებს თავს და სულის დალევის დროს მაინც არა ჰკარგავს თავის სიამაყეს, მაცდურად აბრიალებს თვალებს, თითქოს ეუბნება თავის ნიშნის მგებლებს: ,,მიცქირეთ და ისწავლენ, როგორ უნდ ამოკვდეს ნამდვილი ვაჟკაცი“ მას ის ,,არწივი“ მოსწონს, რომელიც, ნადირობის დროსვე დამარცხებული, ,,შაინარცხება კლდესა და მასზე გაიპობს მკერდს“, ხოლო თუ არწივი ისე დაბეჩავებულა და დაგლახაკებულა სიბერის

გამო, რომ ყვავთა და ბუთა სასაცილოდ გამხდარან, ისე დასუსტებულა, რომ ნადირობას ვეღარ ახერხებს და მშიერი ლეშის მძოვრის ჭამასაც კი დააპირებს, ამისთანა არწივს უხილავი ძალა მოუსპობს სიცოცხლეს, თითქო ბუნებაც იყოს, ასეთი დიდიებული და გმირი ნადირი ამ დამცირებამდის მიიყვანოს, თითქოს ცვენი ბუნებაც იმას აღიარებს: ,,სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სხელოვანიო"; ,,ხმელის წიფელის" მოყვარულია, რომელიც ქარსა და ჭექა-ქუხილს არ შეეგუება; ,,მთის მიჯნაურია", იმიტომ, რომ იგი ამაყი და მედიდურია, იმიტომ, რომ მისგან აღზრდილი შვილები ისეთი გულადნი, მხნენი და მამაცნი არიან; უმსგავსეობას, ლაჩრობას, მეწვრილმანურ შეხედულებასა და ქცევის ზიზღით უყურებს. აფშინა ვაჟასთვის საზიზღარი რამ არის; ჩხიკვის ქორწილზე შეკრებილი ლაჩარი პირურყვები ბრაზსა ჰგვრის მასა და აშფოთებს; გულზვიადსა და ამაყ არწივს არჩევს. მისი მორალია:

ღმერთმან აცხონოს გმირები

,,რომ არა წაიღეს საფლავში

ლაფით მოსვრილი პირებიო,"

ანდა ამას გვიქადაგებს: ვისაც ჩვენ არა ვებრალებით ჩვენ შევიბრალოთ რისადა?

,,სიკვდილი თვითონ უფალსა

გაუჩენია მტრისადა".

თქვენ კარგად ხედავთ, რა შორს არის ეს მორალი, რომელიც გაიძახის: ,,მტერს მტრულად მოექცე, თვითონ უფალმა ბრძანაო", ბოროტის წინაღმდგომლობის მორალზედ და რამდენად უფრო ცხოვრების ნიადაგთან დაახლოებულია. იგი შვილია იმ ხალხისა და ერისა, რომელსაც გულის ფიცარზედ უწერა:

ათასს ცოცხალსა ბევრჯერა

ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.

ასეთი ერი, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ამ აზრს ატარებს გულსა და ფიქრში, სიკვდილისათვის განზრახილი არ არის და მისი კულტურის, დიდი კულტურის საუკეთესო დამამტკიცებელია ეს გმირული შეხედულება, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს ხალხი ებრძოდა ბუნებას, მტერს, ყოველგვარ ხიფათს თავისი იდეალების, თავისი ინდივიდუალობის განსახორციელებლად, და რა უნდა იყოს კულტურა, თუ არა თავისებური სისტემა და კილო ბრძოლისა ყოველსავე სფეროში თავისი იდეალების და თავისი რწმენის განსახორციელებლად. (კიტა აბაშიძე. 1970: 481).

თავი მესამე

რაინდთა დახასიათების ხერხები

ვაჟას შემოქმედებაში

ვაჟას სახელგანთმული პერსონაჟები მთის წმინდა და ცივი ჰაერით სუნთქავენ, მაგრამ ჰაერის სიცივე ვერ აღწევს მათს გაგულგრილებასა და, მით უმეტეს, მათ სულის გაყინვას: მთის მკაცრ ბუნებას ვერ მოუხერხებია ვაჟას გმიერების გძნობათა გაუხეშება და შინაგანი სითბოს შენელება. პირიქით, სალი კლდეებისა და უღრან ტყეების ფონზე უფრო მკაფიოდ ჩანს ამ ადამიანების სინაზე და სათნოება.

ვაჟას პერსონაჟები ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან, მათ ცხოვრებას გასდევს ყოველდღიური არსებობისათვის ბრძოლის მთელი სიმძიმე. მაგრამ გმირები ამის გამო არ კვნესიან და მით უმეტეს __არ წუწუნებენ; ჩვენ ვგრძნობთ მათი მატერიალური ტვირთის სიმძიმეს, მაგრამ ვაჟა ამაზე კი არა ჩერდება, ამას კი არა გვიჩვენებს, არამედ გვანიშნებს მხოლოდ.(გრიგოლ კიკნაძე, თბილისი 1989:266).

ადრინდელი მწერლების__ და განსაკუათრებით ხალხოსნების__ინტერესი არსებითად მატერიალური დოვლათის სფეროთი იყო შემოფარგლული; თავიანთი პერსონაჟის ქცევისა და სულიერ შინაარსს უშუალოდ აკავშირებდნენ ისინი ნივთიერ შესაძლებლობასთან; რაც უფრო მატერიალურად შევიწროებული იყო ადამიანი, მკით უფრო შემოფარგლული იყო მისი ინტერესების სამყარო. და ფიქრი იყო დაკავშირებული და მას სხვა რაიმესთვის არ ეცალა აღარც კი შეეძლო სხვა რამეზე ეფიქრა. ხალხოსნები ისე ხატავდნენ, მაგალითად, ღარიბ გლეხებს, თითქოს მათ არაფერი აინტერესებდათ. გარდა მოსარწყავი წყალისა და ხორბლისა სეტყვა და მოსავლის დაცვისა, მეწველი ძროხისა და უღელში გასაბმელი ხარისა, მევახშიდან და გადასახდიდან გათავისუფლებისა...

ერთი სიტყვით, ხალხოსნები გვიჩვენებდნენ თავიანთ პერსონაჟების ნივთიერ სიღატაკეს და საკუთარი ამოსავალი თვალსაზრისისდა შესაბამისად, ამ პერსონაჟების მხოლოდ სულიერ სიმწირესა და ინტერესთა შეზღუდულობას ხატავდნენ. ხალხოსნებს ებრალებოდათ, მაგალითად, გრძნობაგაუხეშებული გლეხი, და ეს იმიტომ, რომ ამის მიზეზი მისი ცხოვრების მძიმე პირობები იყო. გლეხკაცთა საუბრის მუდმივი თემა იყო საკვები ოჯახისა და ცხოველებისთვის... მართალია, ზოგჯერ ისინიმ იბრძოდნენ მაგრამ იმისთვის, რომ ეკონომიკურად მოღონიერებულიყვნენ. უფრო ხშირად ისინი ან უხმოდ ემორჩილებოდნენ გაჭირვებას ან აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ, რათა მას ხელიდან გასხლეტოდნენ. საერთოდ, მათი პროტესტი ბურდღუნსა ან და ეფექტურ მოქმედებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ ბრძოლას. ხალხოსნების ნაწერებში გამოყვანილი გლეხების სურვილები ერთობ შემოფარგლულია. მათ სჭირდებოდათ ხელმძღვანელი, რათა ამაღლებულიყვნენ, სურვილებისთვის იდეის სახე მიეცათ, მათ ზიარებოდნენ და ნამდვილ საზოგადოებრივ მებრძოლებად გადაქცეულიყვნენ. (გრიგოლ კიკნაძე, თბილისი 1989:268)

ხალხოსნებმა მრავალი ამბავი აღწერეს იმის საილუსტრაციოდ, თუ რამ შეაპირობა დაბალი ფენების სულიერი სიღატაკე და ის, თუ რამდენად ერთფეროვანია გლეხკაცობის ინტერესები. ამისთვის ისინი იბრალებდნენ გლეხებს ანუ, ასე თუ ისე, მაინც ზევიდან დასცქეროდნენ მათ. ბოლოს და ბოლოს, ეს იყო ხალხის შინაგან შესაძლებლობაში ერთგვარი დაეჭვების გამოხატულება. ასე იჩინა თავი ხალხოსნების მცდარმა სოციალ-პოლიტიკურმა თვალსზრისმა მათი შემოქმედების მიმდინარეობაში. ფაქტიურად მათ ვეღარ აღწერეს ხალხის სულიერი სიმდიდრე, რადგან გაძნელდა ამის დანახვა ღატაკი სამისის იქით. სწორედ ასეთი მიდგომა განსაზღვრავდა პერსონაჟთა წმინდა ხალხოსნურ დახასიათებას. და, ჩვენის აზრით, ეს იყო უკვე გადახვევა სინამდვილეში ნამდვილი გაგებისა და განსხიერებისაგან. ამიტომაც დაჰკრავს ზოგიერთი ხალხოსანი მწერლის თხზულებას სქემატიზმის იერი.

ადამიანისადმი მიდგომის თვალსაზრისით, არსებითად განსხვავებული მდგომარეობაა ვაჟას შემოქმედებაში. როგორც უკვე ითქვა ვაჟა მხოლოდ მიუთითებს თავისი პერსონაჟების ეკონომიურ შესაძლებლობაზე, რადგან მისი ინტერესი დიდად სცილდება ამ სფეროს. მისი მიზანია გვიჩვენოს ადამიანთა სულიერი შინაარსის მთელი მრავალფეროვნება, მას სურს გვიჩვენოს ამ შინაარსის სიმაღლე. ამ მხრივ იგი არავითარ წინასწარ აღებული სქემით არ იზღუდავს თავს.იგი მხოლოდ იმ რწმენით ხელმძღვანელობს, რომ ტყაპუჭში გახვეულსა დ აუწიგნურს გლეხს არამარტო შეიძლება გაუჩნდეს მაღალ-ადამიანური გრძნობები, არამედ ეს გრძნობები მას ნამდვილად აქვს. თავიანთი ქცევით ეს გლეხები ყოველ წამს გვაგონებენ, თუ რას ნიშნავს ნამდვილი პიროვნება, როგორ შეუძლია მას გასწიროს თავი, როდესაც საქმე ზნეობრივ-ადაამიანურ იდეებს ეხება.

სპეციფიკურად ვაჟას შემოქმედბისათვის დამახასიათებელი პერსონაჟები არ წარმოადგენენ მოუხეშავ, ანგარიშს არგამწევ და პირადი ინტერესებთ დაბრმავებულ სახეებს. მისი პერსონაჟები თვალხილული და ფხიზელ წონასწორობაში მყოფი ადამიანებია. ამ პერსონაჟთა მოქმედების სარბიელი პირდაპირ ხალხის ცხოვრებაა, მათი განსახიერება ნიშნავს ხალხის ცოცხალი წარმომადგენლის დახატვას. (გრიგოლ კიკნაძე, თბილისი 1989:270-271).

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებში გამოყვანილი ადამიანების გარჩევისას, პირველყოვლისაა, ყურადღებას იქცევს ის, რომ ამ პერსიონაჟთა სულიერი თავისებურება მათსავე გარეგნობაში არ ჩანს. ვაჟა არც ცდილობდა იმნაირ გზაზე დადგომას, რომ თავისი გმირის გარგნულ სახეშივე ერთბაშად წარმოედგინა მისი შინაგანი სამყაროს ხატი.

ვაჟა ხელოვნების იმ აღმართს მიუყვებოდა რომლის მწვერვალზეც შოთა რუსთაველი იდგა. ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენთვის ასე მახლობელია ,,ვეფხისტყაოსანი", ერთი მიზეზი იმისა, რომ მისი გმირებით მთელი რვა საუკუნის განმავლობაში არიან გატცებული სოციალურად, კულტურულად და ასაკობრივად განსხვავებული ადამიანები, იმაშიაც მდგომარეობს, რომ ეს გმირები ჩვენთვის მახლობელნი არიან. ეს მიღწულია არამარტო იმით, რომ ისინი კეთილშობილურ თვისებებს ფლობენ. არა! ეგზომ განსხვავებულ ადამიანთა მახლობლობა შოთას გმირებთან ხელოვნის მხატვრული ხერხებ ითაც აიხსნება; უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მკითხველებს ესმოდათ ამ გმირებისა და არც გმირები მიყვნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, გულჩაკეტილნი და სმენა დახშულნი, მკითხველთა წადილის მიმართ საქმე ისაა რომ ეს პერსონაჟები ისე იყვნენ დახატულნი, რომ ადვილად იტანდნენ დამატებას, ეგუებოდნენ სხვადასხვანაირ წარმოდგენას და ყოველი ადამიანის სულიერ მდგომარეობას ეხმაურებოდნენ. ყოველი მკითხველისთვის ჰააჩნიათ ამ გმირებს

ერთგვარი საზოგადოება და თავის მხრის, ყოველი ადამიანის ფანტაზია ანოყიერებს მათ. შოთ არ იძლევა გმირის ხასიათის ისთ პოეტურ ცარაცოს რომელიც მკითხველის შეზღუდვას მოიათხოვს. შოთას არ ათიქრებს , რომ მკითხველის ფანტაზია შეიძლება დაანგრიოს მისი მაგარ ფუძიანი შენობა, რაზედაც გმირების ხასიათია დამკვიდრებული. დიდი ნიჭი უშიშარია. მან იცის, რომ მკითხველს დაუძალებლად ეაიყვანს იქითკენ, სადაც თვითონ უკვე მისულია. ამიტომაა, რომ იგი არას ამბობს მასზე, რასაც მისი საგნისთვის არა აქვს მნიშვნელობა. შოთა რუსთაველისათვის ასეთია, მაგალითად, გმირთა და გარეგნობის დამახასიათებელი დეტალებაი.(გრიგოლ კიკნაძე, თბილისი 1989:273).

ვაჟას პოემების განთქმული გმირები ჩვენს წინაშე დგანან, როგორც სრულყოფილი ხატები.

ალუდა ქეთელაურის, ამ მომხიბლავი პიროვნების გარეგნობა ვაჟას არ დაუხატავს, ისევე როგორც ჯოყოლას, ზვიადაურის და აღაზას გასრეგნობის აღწერობასაც არ დაუმსახურებია ვაჟას საგანგებო ყურადღება. ერთგვარი ინტერესი ამ მხრივ ვაჟამ გოგოთურის მიმართ გამოიჩინა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ის გვითხრა,რომ იგი ჯანშეუდრეკელია,რომ გოგოთური მთასავეთ მძვინვარეა,პირქუშია და ,,ზოვივით მაიზლაზნება“. ასრსებითად ესაა და ეს.

ვაჟა საგანგებოდ არ აღწერს თავისი სახელოვანი გმირების გარეგნობას.მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი სრულიად ნათელი სახით წარმოსდგებიან ჩვენს წინაშე. როგორ და რა გზით არის მიღწეული ეს ხატოვნება? ამის საფუძველი იმ მხატვრულ საშვალებებში უნდა დავინახოთ რომლებიც ვაჟას თავისი უნარის და შესაბამისად შეურჩევია. საქმე ისაა, რომ ვაჟა გარეგნობის მარტო თვალით ხილველი პოეტი კი არ არის , არამედ მას შეუძლია შექმანს თვით პერსონაჟზე მისი სულის მოძრაობის მიხედვით; ვაჟა ახერხებს იმას რომ, სულის მოძრაობის დახატვით შექმნას პერსონაჟის ხატი. თავისი გმირების მოქმედების, მათი ქცევის, მათი სიტყვა-პასუხის და

ურთიერთობის გამოკვეთით მივყავართ ჩვენ ვაჟას ამ გმირთა გარეგნობის მძლავრი ხატის შექმნამდე. (გრიგოლ კიკნაძე, თბილისი 1989:270-271).

ეს პროცესი მეტად რთული შემოქმედებითი პროცესია. თვალისათვის შეუმჩნეველი დეტალებით, განცდათა დახასიათების სისირულით, საამისი შედარება-მეტაფორათა შექმნით და საერთო სიტუაციის დახასიათებით აღწერს ვაჟა ამ რთული ამოცანის გადაჭრასა და დიდი ეფექტის მიღებას.

ვაჟას მიერ დახატული პერსონაჟი ისეთი მთლიანობაა, როგორც კი მივმართავთ მის ანალიზს, მის დანაწევრებას და ვეცდებით ცალკე წარმოვადგინოთ მისი გარეგანი სახე, მაშინ ირკვევა, რომ ამ ხატის კონკრეტული ნიშნები არ მოგვეპოვება. პირველად ეს გაოცებასაც კი იწვწვს, რადგან ასეთი ანალიზის ჩატარებამდე ჩვენთვის სავსებით ნათელი იყო პერსონაჟის სახე.

ასეთია გმირთა დახატვის ვაჟასათვის დამახასიათებელი გზა. რასაკვირველია, ვაჟას შემოქმედებაში ადამიანთა გარეგნობის აღწერაც გვხვდება, და საფუძვლიანი აღწერაც, მაგრამ ზემოთ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდოდა, რომ ვაჟას არაჩვეულებრივად ემარჯვებოდა ისე შეექმნა წარმოდგენა პერსონაჟის გარეგნობაზე, რომ ამისათვის სავსებით საკმარისი ყოფილიყო მისი სულიერი თვისებათა გაშლილი დახასიათება. (გრიგოლ კიკნაძე, თბილისი 1989:274)

თავი მეოთხე

კაი ყმისა და რაინდის იდეალი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

XX საუკუნის დასაწყიში კაცობრიობის ისტორიას ვაჟა-ფშაველას სახით მოევლინა ხელოვანი, რომელმაც ადამიანის სიცოცხლე შინაარსგამოცლილად ჩათვალა რაინდული სულიერი იდეალების გარეშე, ანუ მხოლოდ ზნეობრივად ღირებული სიცოცხლის შინაარსი

აღიარა ფასეულად, ადამიანის არსებობის საზრისად. იმდენად, ვაჟასთვის ჭეშმარიტი რაინი ისაა, ვისაც ამნაირი სულიერ-ზნეობრივი იდეალი დაუსახავს და მისთვის თავგანწირვა სასიცოცხლო მოთხოვნად არის ქცეული.

რაინდის ნიშან-თვისებათა დახასიათებისას ვაჟა-ფშაველა ქართველი ხალხის ცნობიერებაში, მის ფსიქიკაში ღრმად შეჭრილი და განმტკიცებული სულიერ-ზნეობრივი წარმოდგენებიდან და შეხედულებებიდან ამოდის, მას ეყრდნობა და ქართული ეროვნული ხასიათის ნერვს საცნაურს ხდის სხვებისთვის. ქართულ გარემოში რაინდის ცნება მოგვიანებით, ახალ დრიში, ჩნდება, მაგრამ მისი შინაარსი კი უძველეს წარსულში იღებს სათავეს. სიტყვა ,,რაინდის“ მნიშვნელობით ადრე იხმარებოდა ,,ჭაბუკი“, ,,ყმა“, რაც ხალხურ, კერძოდ შავ-ხევსურულ სინამდვილეში ,,კაი ყმის“ სახეს იღებს და ვაჟას შემოქმედებაში რაინდული სულის პოეტურ ერთეულად მკვიდრდება. ქართველი ხალხის ცნობიერებაში კი ვაჟამდე ასეთნაირი წარმოდგენა არსებობდა ,,კაი ყმის“ შესახებ:

,,კაი ყმა, მგელი, არწივი

არც ერთ არ გაიწურთნება,

მგელი არ მოშლის მგლობასა,

კაი ყმა მამაცობასა,

არწივი არწივობასა,

მთის ყურეთ თამაშობასა.

მგელი გაივლის მთაზედა,

ნამგაბერტყილი დაჩება-დაიხუვლება არწივი,

მთით ბარად ჩამოვარდება,

დაიჭერს შუნის თიკანსა,

ხორცი ძვალდავ დარჩება.

მაშინ კარგია კაი ყმა,

რა დილა ბანდი დგებოდეს,

იცვამდეს გრილსა რკინასა

ომსა ვიქმ, ემზადებოდეს

ხვადი რომ ხრავდეს ლაგამსა,

წაღმა-უკუღმა დგებოდეს“....

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“, თბილისი 19 61: 282).

,,კაი ყმაის“ ზნეობრივი მრწამსი ასე აქვს ხალხს უკვდავ ყოფილი:

,,კაი ყმა ლაშქარს მოკვდება

სწორების ჯობინებისა“-ო

,,კაი ყმის“ ეს ეთიკური იდეალი გადადის თაობიდან თაობაში, ფორმირდება ღირსეული ვაჟკაცის ქცევის მოტივაცია და იმ სულიერ-ზნეობრივ ეტალონად წარმოდგება, რომელიც ,,კაი ყმობას“__რაინდულის ტოლფასოვან ცნებად აქცევს და მას გამოარჩევს გმირულის შინაარსისაგან.(ი.ევგენიძე, ,,ნაკადული“ თბილისი, 1982:116)

ვაჟასთვის, ფშაური პოეზიის გამოხატულებით გმირის იდეალი ,,კაი ყმის“ იდეალის, ანუ რაინდული იდეალის ექვივალენტია. პოეტის თქმით, ,,კაი ყმა“ თემიდან გამოდის და თემს ემსახურება, იმის გულისთვის იბრძვის. გმირის მაღალი ზნეობა და საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზე გმირი გარეგნობით არა ჰგავს მზესა და მთვარეს. იგი თავისებურად არის ლამაზი, ,,სვილისფერა“, ,,შავგრემანი ხშირად

გმირს, ლექსში ვხედავთ, რომ თხის ტყავი აცვია“__ გმირის ეპითეტია, როგორც ,,ლურჯა“__ ,,მის ცხენისა“.

ვაჟას დაკვირვებით კაი ყმა პირადულზე წინ საზოგადო ინტერასს აყენებს, მატერიალურზე მაღლა სულიერს. თავგანწირვა სულიერი იდეალისთვის მისი ცხოვრების შინაარსია ,,გმირი იმდენად თავისთავისთვის არა ცდილობს და იმდენს არ აკეთებს, რამდენსაც თემისთვის, მაგრამ ამ სამსახურისათვის სახელის მეტი არაფერი ჰრჩება. გმირი მსხვერპლია სოფლისა: სხვას აძღობს, თვითონ მშიერია, სხვისი სიცოცხლისთვის მებრძოლი თვითონ სიკვდილს ეძლევა პირში“.

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველა ,,კაი ყმის“ ანუ რაინდის ისეთ მოდელს ქმნის, რომლის ფესვი განტოტვილია ქართველის ფსიქო-ზნეობრივ სამყაროში, საუკუნეებით განმტკიცებულ, არსებობის ფორმად ქცეულ მეომრულ ბუნებაში.(ი.ევგენიძე, ,,ნაკადული“ თბილისი, 1982:116).

სულით ძლიერება ხიბლავს ვაჟას და მისი გამოსახვა არის მგოსნის პოეტური იდეალი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ვაჟას შემოქმედების დედა ძარღვია რაინდული სულის ხოტბა. ეს, პირველ ყოვლის ასულიერ და ხორციელ სწრაფვათა ვაჟასეულ შეპოირისპირებაში იჩენს თავს, რომლის დროს ადამიანი სულიერ ძალათა უპირატესობაზე აფუძნებს ადამიანის უკვდავებისაკენ მისწრაფების მოტივს:

„ხორცო, დაჰნელდი, დამჭლევდი,

სულო, იხარე, ჰლაღობდე.

.....

ხორცი რას მიშველს მარტოკა

თუ სულით არა ვგალობდე

სულო, აჰყვავდი, ამაღლდი,

დაე ლეშითა ვწვალობდე!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ხორცო, დაჰნელდი“, თბილის, 1961:149).

რაინდულ იდეალებით მცხოვრები პოეტისთვის ხორციელი ტანჯვა სულიერი ამაღლებისაკენ მავალი გზაა ამიტომაც ღირს კიდეც ხორციელი გვემა, თუ კი სულიერ გამარჯვება იქნება მიღწეული. ადამიანის სიცოცხლის შინაარსად უნდა იყოს ქცეული სულიერ იდეალებზე ფიქრი და ოცნება, ზნეობრივი საწყისისადმი ერთგულება და მისთვის თავგანწირვა. ასეთ დროს ვაჯა ვედრების ფორმასაც მიმართავს:

,,ღმერთო, მიღე ვედრება,

ეს ჩემი სათხოვარია..

.....

ნუ დამასვენებ ნურადროს,

მამყოფე შეძრწუნებული,

მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,

როცა ვაფრ შეწუხებული“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ჩემი ვედრება“, თბილისი 1961: 110).

ეს ჭეშმარიტი რაინდის ვედრებაა, რაინდისა, რომელსაც თავისი არსებობის ფორმად შემოქმედებითი ცხოვრება უქცევია, მაღალი აზრისა და სასიკეთო გრძნობის ღირებულება გაუცნობიერებია და სხვისთვისაც მაღალი აზრებითა და ფასეული განცდებით ცხოვრება დაუსახავს მიზნად.

ვაჟას, როგორც ხელოვანს, სავსებით ნათლად აქვს წარმოდგენილი ახალ დროში საკუთარი შემოქმედებითი მისია, რომლის არსი, პირველ ყოვლისა, რაინდულ თვისებათა უკვდავყოფაშია დანახული, რაც თვითდახასიათების ფორმითაა გამოხატული: (ი.ევგენიძე, ,,ნაკადული“ თბილისი, 1982:119).

,,ვადიდე გმირთა სახელი,

მკლავით და სურით დიდობა,

დავძრახე ქვეყნის ორგული

და შეურაცყავ ფლიდობა,

სიმაძღრე შიმშილძე ვცვალე,

ფუფუნებაზე მწირობა“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,სომღერა“, თბილისი 1961:44).

პოეტს, რომელსაც ,,მშობელ ენის“ სიყვარული, ,,ტანჯვით ცხოვრება და აღმაფრენა“ აქვს დასახული იდეალად, იდეის, მცნების დონემდე აქვს აყვანილი ჭეშმარიტი რაინდის სიცოცხლის საზრისი; ვაჟას მრწამსით, თავგანწირვა იდეალისათვის არის ერთ-ერთი ის ნიშანი, რაც რაინდის ქცევას გამოარჩევს გმირისაგან, თავგანწირვის იდეაა მარადიული და სანუკვარი რაინდისთვის და არა მხოლოდ შედეგი, რომელსაც მიწიერი ბედნიერება მოაქვს ადამაინისთვის. ამ აზრითა და განცდითაა ავსებული ,,მოხუცის რაინდის სიმღერა“:

,,განა სიცოცხლე რად მინდა?

იგი არ მიღირს ჩირადა.

თუ მტერს ვერა ვძლევ, სიცოცხლე

ჩემი ხომ ჩემი ნებაა,

მტერს მოვკლავ ან შევაკვდები,

უპირველესი მცნებაა.

.....

ოღონდ ნანატრი ამიხდეს

სულსამოვიწვდი ხელადა“

ვაჟას მიერ დახატული მომაკვდავი რაინდი ჩივის, რომ:

გული მომიკლა ამდენმა

განა ომმა და შრომამა:

ქვეყნისა უმადურობამ,

ისევ ჩემდამი წყრომამა....

კარგი ხარ ყველასათვისა,

მანამ რამე გაქვს ძალია.

(ვაჟა-ფშაველა, ,,რაინდის ჩივილი“, თბილისი 1961:219).

ჩივის ახალ დროში შემოყვანილი ვაჟას მიერ წარმოსახული რაინდი, ჩივის, იმიტომ, რომ ,, სიმტკიცე მიჭირს დიადი, ახლა ისეთი დრო არისო“ (ვაჟა-ფშაველა, ,,სიმღერა“, თბილისი 1961: 229). მაგრამ კაცის, ,,ვაჟკაცის წესი“ რაინდული მოვალეობა-გაუტეხლობაა, ,,სულითსიმდაბლისაგან“ განრიდება, ,,ჯვარზე გაკრული, გალახული, აზრისა და სიმართლის“ აღდგენაა და არა უსასოო ხელჩაქნეულობა. მართალია, ულევია სევდის წყარო, როცა პოეტი ხედავს ,,დაჟანგებულ გორდას“, ,,დაობებულ ქარქაშს“ და კითხულობს: ,,სადა გყავს შენი პატრონი, დაგაწყებინოს კაშკაში?“. კიდევ უფრო იზრდება სევდა, როცა ვისმენთ რაინდის ხმლის პასუხს:

სადღა მყავს, ძმაო, პატრონი,

შამქორს გავწირე მკვდარია.

.....

ვისღა სცალია ჩემთვისა,

ქვეყანა იქცა დუქნადა.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ჩივილი ხმლისა“, თბილისი 1961:79).

ვაჟას სევდის წყაროა ახალ დროში რაინდული იდეალების გაცვლა ვაჭრულზე, ვაჟკაცობის დახურდავება ფულზე, ზნეობასა და სარგებელზე. მაგრამ ვაჟა მხოლოდ წარსულით მცხოვრები ხელოვანი არაა! თუ ვინმემ იცის ამქვეყნად, ეს, პირველ ყოვლისა, ვაჟამ იცის, რომ გმირული, რაინდული ზნეობის მქონე წარსულის ქვეყანას, მომავალიც ზნეობრივად მყარი და საიმედო უნდა ჰქონდეს. ამიტომაც, როცა ზნეობის ფორმით პორტი წარსულიდან გმირთა აჩრდილებს იწვევს, ამაყად შესძახება:

,,არ დაეღუპვის, თქვენს აღმზრდელ ერსა ზნეობა“.(ვაჟა-ფშაველა, ,,ზნეობა“, თბილისი 1961: 98).

ზნეობის ,,არდაღუპვის“, ადამიანის მაღალ სულიერ შესაძლებლობათა გადარჩენის წყურვილითაა ავსებული ვაჟას დიდი მხატვრული სამყარო, სამყარო, რომელშიც გამოკვეთილ ადგილს იჭერს ამ ნიშნით დატვირთული ,,კაი ყმის“ მოტივი, ანუ რაინდული სულის მარადიულობის, მისი უკვდავების თემა. ვაჟას მთელი პოეზია რაინდული სილის ძიებაა. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ამ მაძიებელი ხელოვნის მრწამსი შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული არა მარტო მის თეორიულ ნააზრევში, არამედ მოგვიანებით, 1909 წელს დაწერილ ლექსში ,,კაი ყმა“. აქ ნათლად ჩანს, რომ ვაჟა-ფშაველას წარმოდგენები რაინდის თვისებასა და ხასიათზე მჭიდროდაა გადაჯაჭვული ,,კაი ყმის“ ქართულ ხალხურ იდეალებთან, ჩვენი წარსულის დიდ ტრადიციებთან. წარსულისა და აწმყოს

შეპირისპირებისას პოეტი აშკარად იყენებს ,,კაი ყმის“, ანუ ქართველი რაინდის სულიერ, ზნეობრივ ძალთა შენახვა-მოვლისა და მისი ცოცხალ სინამდვილეში გარდაუვალი შენარჩუნების მხატვრულ პროგრამას. საპროგრამოა ეს ლექსი იმიტომ, რომ აქ წარმისახული ,,კაი ყმის“ ყველა ნიშანი მეტ-ნაკლებად სპეციფიკურობით ვაჟას მდიდარ შემოქმედებაში ძალუმად ვლინდება და მას მყარი მოტივის მნიშვნელობაც კი ენიჭება.(ვაჟა-ფშაველა, ,,ზნეობა“, თბილისი 1961: 124).

ვაჟას მიერ დახატული ,,კაი ყმა“ არის რაინდის პოეტური იდეალი და რა არარაობაა მასთან შეპირისპირებით სინამდვილე, რომელშიც მას თვით უხდებოდა ცხოვრება. ,,კაი ყმის“ იდეალი დაისახა ვაჟამ იმიტომ, რომ რეალობაში (იშვიათად გამონაკლისის გარდა) ვერ იპოვა თავისი ოცნების შესაფერისი რაინდული სულის მატარებელი პიროვნება, პიროვნება რომელიც საზოგადოს სამსხვერპლოზე მიიტანდა პირადულს, სულიერის გადასარჩენად გატანჯავდა ხორციელს. რეალური ყოფითი გარემო არ აძლევდა დიდ მგოსანს შესაძლებლობას, არ გაეკიცხა ნივთიერსა და ხორციელ სილაღეს დაწაფებული თანადროულობა:(ვაჟა-ფშაველა, ,,ზნეობა“, თბილისი 1961: 125).

,,არა თქვენ, სადიაცენო,

რა ძროხებივით სძღებითა;

ღამე მაძღრები დასწვებით,

დილით მშივრები სდგებითა;

თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ

არც როს არ გამოსდგებითა.

თავისად სცოცხლობთ, სცონარედ,

ლეში ალაღოდ, ჰკვებდითა.

.....

დაჰკარგავთ სააქაოსა,

ვერც საიქაოს სწვდებითა.

არ იცით, დასაჩდით რისადა,

ან რისათვისა ჰკვდებითა!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“, თბილისი 19 61: 282).

ასეთი ფორმით წარმოდგა ვაჟას ლირიკაში რაინდის იდეალი და ბუნებრივია, არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ჭეშმარიტი რაინდული ხასიათებისა და სულიერი მომენტის ძიებამ კიდევ უფრო სრული სახე მიიღო მის ეპოქაში.

დასკვნა

ვაჟა-ფშაველა, როგორც მწერალი და მოაზროვნე, ის ფენომენია რომელსაც ძალუძს ყველაზე გამძლე და ღრმა აზრი ყველაზე დიდი გულუბრყვილობით გამოხატოს წყაროს რაკრაკში, დაგვაჯეროს, რა საშინელებაა უზარმაზარი ლოდების დუმილი მაშინ, როცა პოეტს სურს ისინი აამეტყველოს, რათა ადამიანებს, რომლებსაც ერთმანეთის აღარ სწამთ, ადამიანური ენით აუწყოს ჭეშმარიტი და არაერთხელ თქმული სიტყვები. ვაჟას ჰუმანიზმი მრვალგზის ღნიშნულა

და ეს მიუთითებს იმაზე, რომ მისთვის ადამიანია სამყარის ცენტრში. ადამიანი, რომლის ყოფის, ზნეობრივი განვითარების წინაპირობას პიროვნებები ქმნიან.

ვაჟა-ფშაველა მთის შვილია, რომელიც ჯერ კიდევ ცხოვრობდა დევ-გმირთა ზღაპრულ ამბებით. მამაცობა, საქმე საგმირო-სარაკო-- აი საზომი ადამიანის ვაჟკაცობის შეფასებისა მთაში, რაც იქ საუკუნეებით იყო შემონახული მდიდარ ზეპირსიტყვიერებაში და თავისებურად ყოფა- ცხოვრებაში.

თვითონ ვაჟა-ფშაველა ასე ხსნის ვაჟკაცის კულტს,შემონახულს მთაში: ,,რადგან ძველის-ძველი კაცობრიობის ცხოვრება მუშტზე და ძალაზე იყო დაფუძნებული, ერთი თემი მეორესა ლაშქრავდა ხშირად უსაფუძვლოდ, მხოლოდ მოწადინებისა და სურვილისამებრ; დამჩაგვრელი დაჩაგრულს არბევდა, ამონავებდა. ყველა თემისათვის იმ დროს , რასაკვირველია, პირველი ღირსება ვაჟკაცობა იყო. ვისაც გული და ჯანი უჭრიდა, იგი იყო მაში კაცი; ვაჟკაცი ხდებოდა საგნად მღერისა, ლექსისა, ამბისა, ზეპირ-გადმოცემისა“.(მიხეილ ზანდუკელი, 1953: 92).

სწორედ მთაში, მის ცხოვრებასა და პოეზიაში ეძებდა ვაჟა-ფშაველა სათანადო მასალას, საზრდოს; სწორედ აქ ჰქუხდა მისი ჩანგის პოეტური აღმაფრენა ,,ცად ასაწევად“. და ეს განწყობილება, შემოქმედების ეს გზა ვაჟა-ფშაველაში შეუცნობლად ან შემთხვევით კი არ ვითარებოდა, არამედ სრულიად შეგნებულად, კანონზომიერად, ალბათ დიდი აწინ-გაზომვის შედეგად, როგორც ეს მისთვის იყო დამახასიათებელი. ეს გარემოება აძლევდა მგოსნის შემოქმედების მხატვრულ კონკრეტულებას.

,,კაი ყმის“ ვაჟკაცის სახე დომინანტია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა. ,,კაი ყმა“ რაღაც დაუძლეველი სიდიადის განცდით, სიამაყით, კამყოფილებით და სიხარულით ავსებს არამარტო მთიელს,

თემს, რომლის ბუდეშიც ეს ,, კაი ყმა“ აღიზარდა და მოქმედებს, არამედ ვაჟა-შაველასაც, რომელიც თავის ამგვარ განწყობილებასა და დამოკიდებულებას მკითხველსაც არაჩვეულებრივი სიძლიერით გადასდებს.(მიხეილ ზანდუკელი, 1953: 97).

ვაჟა-ფშაველამ მკითხველის შეგნებაში რომ უფრო გაამხვილოს, გაზარდოს მის მიერ დახატული ,,კაი ყმის“ საზოგადოებრივი ღირებულება, მისი დიდი მნიშვნელობა, რომ ,,კაი ყმის“ სახე მოგვცეს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალი, მას პოეტი უპირისპირებს თანამედროვე დარღვეულ, ლაჩარ__,, დაქალაჩუნებულ“ ადამიანებს, რომელნიც მხოლოდ კუჭზე, მხოლოდ პირად უზრუნველყოფაზე ფიქრობენ, რომელთაც საზოგადო საქმე, მოძმის კეთილდღეობა სრულებით არ აგონდებათ.(მიხეილ ზანდუკელი, 1953: 111).

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბასკირი ვ., ვაჟას სამყაროში, ,,ნაკადული“ თბილისი, 1961;

2. გაბაშვილი გ., ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდები ,,მერანი“ 1989;
3. კიკნაძე გ., ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, ,,თბილისი“ 1989;
4. ევგენიძე ი., ვაჟა-ფშაველა, ,,ნაკადული“ თბილისი 1982;
5. ზანდუკელი მ., ვაჟა-ფშაველა, ,,სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა“ თბილისი, 1953;
6. აბაშიძე კ., მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, ,,საბჭოთა საქართველო“ თბილისი, 1970;
7. ცაიშვილი ს., წინამორბედი და თანამედროვენი, ,,მეცნიერება“ თბილისი 1986;
8. რაზიკაშვილი თ., მამაჩემი ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1973;
9. ხორნაული გ., ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბილისი, 1985;
10. გაწერელია ა., რჩეული ნაწერები, ტ.მეორე, თბილისი, 1965;
11. ვაჟა-ფშაველა., თბილისი, 1961;
12. ვაჯა-ფშაველა., თბილისი, 2012;